ხონი

2021 წელი
23
აპრილი
პარასკევი
№5 (7526)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტე აღსდგა!

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი
და საფლავების შინათა ცხოვრების
მიმნიჭებელი."

გვექნება ახალი პროფესიული განათლების ცენტრი

ხონში 2022 სასწავლო წლიდან ფუნქციონირებას იწყებს თანამედროვე სტანდარტებითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი პროფესიული განათლების ცენტრი. ცენტრი ახალგაზრდებს შესთავაზებს ძირითადად სამშენებლო ინჟინერიისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიულ პროგრამებს. ახალი სასწავლო ცენტრი სამინისტროს, ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით განვითარდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს მთლიანად დააფინანსებს დამსაქმებელთა ასოციაცია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი გამოყოფს ყველა რესურს, რათა შეიქმნას თანამედროვე, კომფორტული, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რაც საბოლოოდ პროფესიის დაუფლებაში შეუწყობს ხელს ახალგაზრდებს...

რაც შეეხება სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებს, მას მთლიანად აფინანსებს დამსაქმებელთა ასოციაცია და სამუშაოებზე დაკავებულია ხონელები...

პროექტის მიზანია, რეგიონის მოსახლეობას შესთავაზოს, კერძო სექტორთან პარტნიორობით პროფესიული განათლება დღეს აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიები გახადოს ხელმისაწვდომი, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს დამსაქმებელთა ასოციაცია.

ამ დღეებში ცენტრის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **თამარ ქიტიაშვილმა**, დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა მელაძემ**, ქალაქის მერმა **ლადო ჯურხაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ვალერი ბახტაძემ**. ითქვა, რომ ახალი ცენტრი იმერეთის რეგიონისათვის იქნება მნიშვნელოვანი და ამიტომ კერძო თუ არასამთავრობო სექტორმა, ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი პროფესიული ცენტრის განვითარების პროცესს.

გამარჯვების გზებით გევლოთ!

ხონის ახალგაზრდული იდეის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო და მრავალფეროვანი იდეებითა და პროგრამებით წარსდგნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის უნიჭიერესი მოსწავლეები. მათ შორის მოსე ხონელის I საჯარო სკოლის პროექტების მართვის გუნდმა „ბერმუხამ" წარმოდგენილ პრიორიტეტულ პრობლემათაგან აირჩია და მოამზადა პროექტი კლასგარეშე აქტივობების შესახებ. მოსწავლეებმა **მურთაზ მატარაძემ, თამაზ რატიანმა, ლიზი ღაღანიძემ, თამარ წვერავამ, მარიამ ღოღობერიძემ, დავით მეშველიანმა** ხელმძღვანელთან ქ-ნ **ლამარა კირთაძე-კოპალიანთან** ერთად შინაარსობრივად ძალიან მკაფიოდ გაშალეს პროექტი და დაასაბუთეს, რამდენად მნიშვნელოვანია სწავლის დამთავრების შემდეგ ისეთი კლასგარეშე აქტივობების განხორციელება, როგორიცაა: შაშისა და ჭადრაკის წრეებში მუშაობა, მხიარული სტარტები, ინტელექტუალური თამაშების გამართვა კლასებს შორის და სხვა, რაც ზოგადად ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩამოყალიბებას. მოსწავლისათვის კი დიდი პოზიტივია სასკოლო საზოგადოებაში თავისი ადგილი იპოვოს და ერთი საერთო მიზნისათვის, იდეისათვის გაერთიანდეს თანატოლებთან... მოსწავლეებმა პედაგოგთან ერთად განწერეს ყველა ნივთი, ინვენტარი, რაც კლასგარეშე აქტივობების განხორციელებისათვის იყო აუცილებელი.

ხონის ახალგაზრდულმა იდეამ ევროპის ფონდის დახმარებით დააფინანსა პირველსკოლელთა პროექტი 800 ლარით. გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა და მიზანდასახულ, კრეატიულ „ბერმუხელებსა"და პედაგოგს დირექტორმა **შორენა კაკაბაძემ** თანადაფინანსების სტატუსით 200 ლარი გადასცა. გაიხარეს ბავშვებმა და დამრიგებელმა **ნინო ბჟალავამ** და ყველაფერი შეიძინეს, რაც მალე გახდის შესაძლებელს, სიტყვა საქმედ აქციონ.

წარმატებები პირველსკოლელებო! ჩვენი გაზეთი თქვენი გულშემატკივარია. სიამოვნებით ვაშუქებდით პერიოდულად „ბერმუხას" მიერ განხორციელებული პროექტებისა და მოპოვებული გრანტების შესახებ მასალებს. გვეამაყებით თითოეული თქვენგანი. მომავალშიც ასე გააგრძელეთ. ჩვენ კი არ დაგზარდებით, მკითხველი გავახაროთ და თქვენი წარმატებების თანაზიარი გავხადოთ...

გილოცავთ ქ-ნო შორენა, ქ-ნო ლამარა, კოლეგებო, მოსწავლეებო. წარმატებულ დღეთა სიმრავლე თქვენ. სულ გამარჯვების გზებით გევლოთ!

მაია ფეიქრიშვილი

ვაქცინაცია აუცილებელია, ვაქცინაცია ნებაყოფლობითია!..

საქართველოში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, სამწუხაროდ, უარესობისკენ შეიცვალა. მსოფლიო ებრძვის კორონას მესამე ტალღას. ჩვენთანაც მესამე ტალღაა... ამიტომ პირველ რიგში ისევ უნდა დავიცვათ ინფექციონისტების, ეპიდემიოლოგების, მედიკოსების რჩევები, ყურად ვილოთ სახელმწიფოს გაფრთხილება, რომ არ აღმოვჩნდეთ უმძიმეს სიტუაციაში... ვაქცინაცია პანდემიის შეჩერების საიმედო გზაა. ამიტომაც დროულად მივმართოთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალურ ცენტრებს. **ჩავიტაროთ აუცილებელი გამოკვლევები და მხოლოდ ამის შემდეგ ავიცრათ!..**

გავუფრთხილდეთ საკუთარ თავს და ერთმანეთს. კორონა არსად წასულა! იგი ჩვენთანაა! სამწუხაროა, რომ კორონაგამოვლილები ისევ დაინფიცირდნენ. ამის გამო კიდევ და კიდევ მეტი სიფრთხილე გვმართებს და შეზღუდვებისა და სხვა რეგულაციების მკაცრი დაცვაა საჭირო. **ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელშია!** ნუ გავთამამდებით! მე გამოვიარე კოვიდი, არ მინდა მეორედ **„მესტუმროს!"**

გისურვებთ ჯანმრთელობას!

ვაქცინაცია აუცილებელია!

მაია ფეიქრიშვილი

გრძელდება გზების რეაბილიტაცია

ხონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს გზების რეაბილიტაცია. სოფლებში ნახახულევი, სანულუკიძეო, გუბი 5 კმ-იანი ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგება. აღნიშნულ სოფლებში მიმდინარე საგზაო სამუშაოები მოინახულეს მაჟორიტარმა დეპუტატმა **გივი ჭიჭინაძემ** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ფინანსდება რეგიონული განვითარების ფონდიდან.

გილოცავთ!

ხონის **აკ. ჩხენკელის** სახელობის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებს **დეა კუჭავას, ნინი ჩხენკელს, მამუკა უგრეხელიძეს, ლუკა ჯიმშელეიშვილს, მარიამ მოგელაძეს** (გუნდი „მათემატიკა და ჩვენ"), **ნინი ჩარგეიშვილს, ანა დუმბაძეს, თათია ფანცულაიას, ანა მელაძეს** (გუნდი „წარსულის კვალდაკვალ") ვულოცავთ საგრანტო კონკურსში გამარჯვებას. სკოლის ორი

გუნდი იღებდა ახალგაზრული იდეის კონკურსში მონაწილეობას, ორთავემ გაიმარჯვა და მოიპოვა 800-800 ლარის ოდენობის გრანტი. ორი გრანტი, ორი გამარჯვება! გილოცავთ მეორესკოლელებო.

სკოლის დირექტორი ნუნუ ანდრიაძე, პედაგოგები, მოსწავლეები მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებას გეგმავენ სამომავლოდ. წინ კიდევ ბევრი გამარჯვება გელით, მეგობრებო!

წარმატებები თქვენ!

„ხონის" ჟურნალისტებს!

მინდა მედიისადმი ჩემი პატივისცემა გამოვხატო და ჟურნალისტიკისა და ბეჭდური სიტყვის დღესასწაული მოგილოცოთ.

ჯერ კიდევ 1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით ქართული ჟურნალისტიკის დღის დაარსებას ჩაეყარა საფუძველი და ყოველი წლის 21 მარტს აღინიშნება. 5 მაისი კი ბეჭდური სიტყვის დღეა.

გილოცავთ ყველას და განსაკუთრებით **გაზეთ „ხონის"** ჟურნალისტებს, თქვენ ხომ საზოგადოებრივი ათასფეროვანი მოვლენებისა და ფაქტების ამსახველი თანამედროვეობის მემატიანენი ხართ, თქვენ, თქვენი მადლიანი კალმის მოსმით შეგიძლიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადებითი ზეგავლენის მოხდენა, მისი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, სწორედ ცხოვრების ასახვისა და გარდაქმნის შესაძლებლობა ამდიდრებს თქვენს მოღვაწეობას, ამიტომაც გიწოდებენ ჟურნალისტებს **„მეოთხე ხელისუფლებას"**.

ჟურნალისტობა უმაღლეს კვალიფიკაციასთან, მრავალმხრივ ცოდნასთან, გამოცდილებასა და უსაზღვრო მოთმინებასთან ერთად უზარმაზარ ყოველდღიურ შრომას მოითხოვს.

გაზეთ „ხონის" ჟურნალისტებს, საქმისადმი ერთგულ, პროფესიონალ კოლექტივს, მინდა მივულოცო პროფესიული დღესასწაული, მადლობა თქვენ, რომ ამ გამოწვევებით სავსე დროს წინა ხაზზე რჩებით და ხონის, ხონელების და არა მარტო ჩვენი, საქართველოს სიყვარულით, კეთილდღეობის სურვილით გამსჭვალულები შემოდიხართ ჩვენს ოჯახებში!

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ, სანერად გამზადებული თქვენი კალამი ყოველთვის ყოფილიყოს თქვენი, ჩვენი საქართველოს წარმატებებისა და გაბრწყინების მაუწყებელი.

დიდი სიყვარულით თქვენი
მცინარა გახოკიძე

ხონის მთავარი ბიბლიოთეკა 120 წლისაა

ბიბლიოთეკის დაარსებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ხონის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი სისტემატურად ცდილობდა ბიბლიოთეკის გახსნას, ხალხში სულიერი საზრდოს შეტანას და ვალდებულებასაც იღებდნენ ბიბლიოთეკის შესანახად არანაკლებ თითოეულს ერთი მანეთი გადაეხადა.

ოფიციალურად ხონში ბიბლიოთეკა 1901 წლის მაისში გაიხსნა. ამ დიდ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამი ინტელიგენტის **ვარლამ შავდიას, პოლიკარპე მდივნისა** და **ილია ქუთათელაძის** ღვაწლი.

წლების განმავლობაში ბიბლიოთეკებისა და ფონდის რაოდენობა ეტაპობრივად იზრდებოდა. მთავარ ბიბლიოთეკაში და მის ქსელში დიდხანს უანგაროდ მსახურობდნენ ძველი თაობის ბიბლიოთეკარები, დღეისათვის მათ ტრადიციებს აგრძელებენ ახალი თაობის თანამშრომლები..

2007 წლის პირველი ივნისიდან ხონის მთავარი ბიბლიოთეკა ჩამოყალიბდა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად. ახალი პრიორიტეტების ჩამოყალიბებამ კულტურულ სფეროში ხელი შეუწყო სტანდარტების განვითარებას. ბიბლიოთეკებში უმდიდრესი საინფორმაციო ფონდია დაცული, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის უწყვეტი განათლების ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაში.

დღეისათვის ხონის მუნიციპალიტეტს ემსახურება ერთი მთავარი და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა. მთავარ ბიბლიოთეკაში მუშაობს დარბაზი, აბონიმენტი-მომსახურების განყოფილება და საბავშვო განყოფილება, საბიბლიოთეკო საქმიანობას ემსახურება 30 თანამშრომელი, წიგნადი ფონდის რაოდენობა შეადგენს 104001 ცალ ერთეულს, მთავარი ბიბლიოთეკის, საბავშვო განყოფილებისა და სასოფლო ბიბლიოთეკების ნაწილის მოდერნიზაციამ ხელი შეუწყო მათ ხელსაყრელ მუშაობას-მკითხველის „მომხმარებლის" მიზიდვასთან დაკავშირებით.

გასულ წლებში მთავარმა ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადაფინანსებულ პროექტში **„მეტი სიახლე განათლებასთან, ინფორმაციასთან და დასაქმებასთან - საქართველოს ბიბლიოთეკების პასუხი თანამედროვე გამოწვევებს"**. ბიბლიოთეკამ დააკმაყოფილა პროექტის ყველა პირობა, რის შედეგად ბიბლიოთეკას გადაეცა სტაციონალური კომპიუტერი, ნოუთბუქი, მულტ-ფუნქციური მოწყობილობა და ფოტოაპარატი. კომპიუტერითა და სკანერით დასაჩუქრდა საბავშვო განყოფილება. გუბის, გორდის, ძეძილეთისა და გოჩა ჯიხაიშის ბიბლიოთეკებში განხორციელდა პროექტი **„ინტერნეტი საქართველოს ყველა სოფლის ბიბლიოთეკას"**, მათაც გადაეცათ კომპიუტერი, ქსეროქსი და ინტერნეტის პაკეტი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბიბლიოთეკებს შეითავსოს საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია და მოემსახუროს საზოგადოებას არა მხოლოდ წიგნებით, არამედ აუდიო-ვიდეო მასალებითაც და ინტერნეტით. წლების განმავლობაში განახლდა და ახალი ინვენტარით შეივსო მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, სუხჩის, ახალბედისეულის, ივანდიდის, მათხოჯის, გელავერის ბიბლიოთეკები, ეტაპობრივად მოხდა ბიბლიოთეკების ახალი ფონდით შევსება.

სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობისა და წიგნის პოპულარიზაციის მიზნით ხორციელდება მრავალმხრივი საინტერესო ღონისძიებები და პროექტები: ლიტერატურული კომპოზიციები, პოეზიის საღამოები, კინო-ჩვენებები, წიგნის პრეზენტაცია-რეკლამა, კითხვის დღე,ზღაპრის დღე, ღია კარის დღე, ბაღებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები.

ძნელია განჭვრიტო მომავალი, მითუმეტეს ჩვენს დროში, როდესაც აუწერელი სისწრაფით იცვლება ყველაფერი. ტექნიკური პროგრესი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში თავის სიტყვას ამბობს. ასეა საბიბლიოთეკო საქმეშიც. ამ დარგშიც ისეთი მოულოდნელი და სწრაფი ცვლილებები მოხდა, რომ თითქმის მთლიანად შეუცვალა სახე ჩვენს ტრადიციულ ბიბლიოთეკას. შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი აზრი, ამოცანები, ფუნქციები, სტატუსი, მაგრამ არ შეცვლილა მისი უმთავრესი პრინციპები და დანიშნულება – ხელი შეუწყოს საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოს წიგნიერი გარემო.

დღეისათვის, როცა ადამიანები კომპიუტერთან სხედან, ჩნდება კითხვები - წიგნი თუ კომპიუტერი? რა თქმა უნდა, კომპიუტერი ინფორმაციის მიღების ძალიან კარგი საშუალებაა, მაგრამ ის წიგნს ვერასოდეს შეცვლის. უწიგნოდ განათლების მიღება ან წერა-კითხვის სწავლა წარმოგიდგენიათ? წიგნი იყო და ყოველთვის დარჩება კულტურის, განათლების განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროდ. სწორედ წიგნისა და კითხვის სიყვარულმა ათქმევინა დიდ ქართველ პოეტს **იოსებ გრიშაშვილს:**

„მიყვარდა კითხვა, წიგნს
ვსახავდი მე თვალისჩინად,
მიყვარდა კითხვა და
ამ კითხვამ გადამარჩინა."

და ბოლოს ჩემი უდიდესი თხოვნაა, ხშირად ესტუმრეთ ბიბლიოთეკას, წაიკითხეთ, რაც შეიძლება მეტი წიგნი, მართალია, ინტერნეტ-წიგნები ხელმისაწვდომია, მაგრამ ერთია, როცა „ვეფხისტყაოსნის" მხოლოდ ტექსტს წაიკითხავ და მეორეა, როცა **მიხაილ ზიჩის** მიერ ილუსტრირებულს აიღებ ხელში, სულ სხვა შთაგონება და ემოციაა. შეუძლებელია წიგნის ესთეტიკური ღირებულების რაიმე სხვა საშუალებით შევსება.

ძვირფასო ბიბლიოთეკარებო და ბიბლიოთეკის ერთგულო მკითხველებო! გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. გისურვებთ ბევრ სიკეთეს, წარმატებებსა და გთხოვთ, დარჩეთ ჩვენთან.

ლია ჩარგეიშვილი,
ხონის მთავარი ბიბლიოთეკის
დირექტორი

მადლობა მათ!

სამწუხაროდ, ორი ბუმბერაზი პიროვნება, ორი ვაჟმოხდილი კაცი წავიდა ჩვენგან - **ანზორ ერქომაიშვილი**-ქართული სიმღერის გული და სული და **გურამ დოჩანაშვილი,** ვისაც ლიტერატურა ძალიან, ძალიან უყვარდა. დედამიწას სიყვარული ატრიალებსო და თავად იყო სიყვარულით სავსე დიდი ადამიანი. ალბათ, მე ვინ ვარ, შევაფასო **გურამ დოჩანაშვილის** პიროვნება, თუმცა, ერთი კი მინდა ვთქვა, რომ ეპოქა დაამთავრა ამ უდიდესმა კლასიკოსმა და დაგვიტოვა შეუფასებელი მემკვიდრეობა, რითაც ნებისმიერი ქართველი ამაყი უნდა იყოს...

ბ-ნი გურამი ხონსაც სტუმრობდა და ის ორი საათი, რაც მასთან ერთად გავატარეთ, იყო მთელი ცხოვრება სავსე დიდი, დიდი სიყვარულით, სინრფელით, უბრალოებით, პატიოსნებით,... თითოეული ჩვენგანი ლეგენდის თანამონაწილენი გავხდით და მადლიერებისა და მადლობის ნიშნად ტაშითა და გულიდანნამოსული უთბილესი სიტყვებით გავაცილეთ მწერალი...

უსაყვარლესმა პოეტმა **ტარიელ ხარხელაურმა** ბრძანა:

„კლდეებს ნაწყლულევთ
ნისლით ვუხვევდი,
ცაო, როგორ მღლი
შენი უფლობით,
ნუხელ სიკვდილი მეწვა
მუხლებზე,
და მე და ქარი
ვჭირისუფლობდით...
...ველარც მზის მოსვლით
ვერ შეივსება
ეს შემზარავი სიცარიელე".

მართალია, ხელისგულზე სატარებელი ქართველები გადასახლდნენ საუფლოში და დარჩა სიცარიელე. მაგრამ საბედნიეროდ, მათი მემკვიდრეობა უკვდავყოფს თითოეულს და ამიტომაც სიცარიელე აღარ გამოჩნდება. მადლობა უფალს, რომ არსებობდნენ **თემურ წიკლაური, ზურა დოინჯაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, გურამ დოჩანაშვილი,**... და მადლობა მათ სიყვარულისთვის, სიკეთისთვის, იმედისთვის, ნაღვაწისთვის,...

„ღმერთმა ყველაზე სამართლიანად გაანაწილა ერთი რამო.

-რაო, რაო?

-ჭკუაო. არავინ იძახის მაკლიაო..."

„ადამიანი ადამიანისათვის დღეა"

„სამშობლო ლამაზი ველ-მინდვრები და დიადი მთები კი არაა, არამედ ადამიანიც"..

გ. დოჩანაშვილი

საქართველოვ, თანაგიგრძნობთ ერისკაცების დაკარგვას. უფალს ებარებოდეთ დიდო ადამიანებო.

მაია ფეიქრიშვილი

არდავიწყება ქართველი ხელოვანისა

ზურაბ აბზიანიძე - მსახიობი, რომელმაც უამრავი როლი შეასრულა ხონის სცენაზე, მსახიობი, რომელიც არასოდეს მიეცემა დავიწყებას,

ზურაბმა შექმნა მთელი თეატრალური ეპოქა ხონის თეატრის ისტორიაში. 65 წელი იყო თეატრის მსახიობი.

13 წლის ასაკში ითამაშა პირველი ეპიზოდური როლი **„უტუ მიქავაში"**. ამას მოჰყვა უამრავი სპექტაკლი, სადაც მან 160-ზე მეტ პიესაში მიიღო მონაწილეობა. აქედან 80-მდე მთავარი როლი იყო. ის იყო კომედიის, ასევე დრამის მსახიობი. მრავალმხრივ გამორჩეული ადამიანი თავისი პროფესიონალიზმით, ბრწყინვალე მოცეკვავე და მომღერალი.

ჩვენ სცენაზე ხშირად პარტნიორები ვიყავით. მასთან თამაში დიდი დღესასწაული იყო. ზურაბის გამოჩენას სცენაზე მაყურებელი ჯადოსნურ სამყაროში გადაჰყავდა, თამაშობდა დიდი განცდით, ოსტატობით, გარდასახვის საოცარი უნარი ჰქონდა.

ზურაბმა მართლაც დაუვიწყარი სახეთა გალერეა შექმნა ხონის სახალხო თეატრში.

1970-71 წლებში ხონის თეატრში რეჟისორი **სიკო ვაჩნაძე** იქნა მოწვეული. მან დადგა შალვა რადიანის პიესა **„იდეა-გაიმარჯვებს"**. სპექტაკლი ეხებოდა რევოლუციონერებს.

ახალგაზრდა **კობა ჯუღელის** (სტალინის) როლს თამაშობდა **ზურაბ აბზიანიძე. საშა წულუკიძის** როლს თამაშობდა დიდებული მსახიობი **რევაზ შამათავა**. ამ პიესაში თავმოყრილი იყო ხონის მაშინდელი ნამდვილი ვარსკვლავები: **ციცინო ტაბიძე, მარიამ ჩაჩანიძე, ვერა ქვათელაძე, გურამ უგულავა, დურმიშხან მენაბდე, გურამ ჯანელიძე, ანატოლ ჯიშკარიანი, მიხეილ არლოვი, გიორგი კაკაბაძე**. გრიმიორი თბილისიდან რუსთაველის თეატრიდან იყო მოწვეული, თუ არ ვცდები, გვარად **ათაბეგოვი**. სპექტაკლმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, განსაკუთრებით სტალინის როლის შემსრულებელმა. მაშინ არა მარტო ხონის ადგილობრივი გაზეთი, თბილისის გაზეთებიც წერდნენ ამ სპექტაკლის შესახებ.

ზურაბი ნამდვილი ხელოვანი, ნამდვილი არტისტი იყო. მართლაც გამორჩეული თავისი იუმორით ყველა როლს ბრწყინვალედ ასრულებდა. ეს იყო იმერელი, აჭარელი, კახელი, ქართლელი, გურული, საოცარი ოსტატობით ირგებდა ყველა როლს.

არასოდეს დამავიწყდება 80-იანი წლები, თეატრის გასტროლები მოსკოვში, მაშინ ხონის თეატრმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ბატონი ზურაბი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ვიხსენებ მის სახასიათო როლებს, რომლებიც გამოჩენილი რეჟისორის გიორგი რატიანის მიერ დადგმულ სპექტაკლებში ითამაშა. ზურაბს სცენის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. მძიმე ავადმყოფი სცენაზე დაბრუნებაზე ოცნებობდა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო!

მან კინოშიც სცადა ბედი. სამ კინოფილმში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია რეჟისორ **ნანა მჭედლიძის** ფილმში „იმერული ესკიზები", სადაც დაუვიწყარი სახასიათო სახე შექმნა.

მან როგორც მსახიობმა, დიდი სიხარული მოუტანა მაყურებელს.

ზურაბმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალედ ეხერხება როგორც დრამის, ასევე კომედიის როლის შესრულება.

მსახიობმა როგორც, ვთქვი, უამრავი როლი შეასრულა, ჩემთვის დაუვიწყარია „საბრალდებო დასკვნა" – შოშია, „მილიონერი დეიდა" – ჩარლი, „ლალი, სიყვარული და სხვები" – გამომძიებელი, „მკვლელობა სადგურზე"-მოთა შურღაია, „მე, ცოლი და სიდედრი" – მერაბი, „მაია წყნეთელი" – ჯემალა.

მისი თეატრალური გვირგვინი კი „ყვარყვარე თუთაბერია". მის ყვარყვარეს დიდი შეფასება მისცა **გიგა ლორთქიფანიძემ**. ეს სპექტაკლი დიდმა ხელოვანმა ხონის სცენაზე ნახა და აგრეთვე მარჯანიშვილის თეატრში, როცა ხონის თეატრი მიწვეული იყო. მე კარგად მახსოვს **გიგა ლორთქიფანიძის** სიტყვა, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი ყვარყვარე და იგი მოიაზრება ყვარყვარეს საუკეთესო შემსრულებელთა ხუთეულში.

მას არაჩვეულებრივი შვილები დარჩა: ქალიშვილი ირმა, ვაჟი ბესიკი, რძალი ნინო და შვილიშვილები, რომლებსაც არასოდეს დაავიწყდებათ, თუ ვინ იყო მათი წინაპარი.

ასევე, სანამ იარსებებს ხონის სახალხო თეატრი, არ მიეცემა დავიწყებას მისი სახელი.

გულიადა სანოძე

ზურაბ აბზიანიძის ხსოვნას

აფხიზლებს ქალაქს ხმაური წვიმის,
ამოდის ფიქრი წლების ფერფლიდან
და ცხადად ვხედავ-შენს კეთილ ღიმილს,
ჩემი ბავშვობის საზღაპრეთიდან.
სიმართლეს ვამბობ, ხომ იცის ღმერთმა,
(ტყუილად არ ვწერ სიტყვებს სამარხეოს),
რაც შენ შეძელი, არათუ ერთმა,
ათასმაც ველარ დაიტრაბახოს.
ყველას თავისი აქვს ბედისწერა,
თავის ვარსკვლავი დასცქერს ზემოდან...
შენ თამაშობდი და ხონის სცენას,
მომავლის რწმენა უბრუნდებოდა.
დიდ ხელოვნებას არ გადის ვადა,
არც დროისაგან იღებს სამძიმრებს,
და ახლა, როცა დაეშვა ფარდა,
მაყურებელი ტაშით გაცილებს...

ედუარდ უგულავა

ტკივილიანი ერთი წელი

მაყვალა ქავზინაძის გახსენება

ტკივილიანი ერთი წელიც გავიდა მაყვალა ბებია, რაც დაგვტოვე და იმიერში გადაინაცვლე, შენ ხომ ყველასთვის უსაყვარლესი ადამიანი იყავი, ამიტომაც გვიჭირს ყველას უშენობა, შენი რჩევა-დარიგება და, რაც მთავარია, გულიანი დალოცვა. ძნელია უშენობა, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება დაუნდობელია, რაც შენ დაგვტოვე, მის მერე დაცარიელდა ყველაფერი, შენ ხომ ყველას სიხარული გიხაროდა და ტკივილი გტკიოდა...

არასდროს არ დამავიწყდება შენი ჩემდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა, შენ ხომ შენს შვილიშვილებში არ მარჩევდი, ღმერთმა გაანათლოს შენი სული იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მიყვარხარ და მეყვარები მუდამ.

უსაზღვროდ მწყდება გული შენს საფლავზე რომ ვერ მოვალ და სანთელს ვერ დაგინთებ.

დიდი გულისტკივილით
შენი საყვარელი შვილიშვილი გიორგი ქავზინაძე

გაზეთ „ხონის" რედაქცია გულისტკივილით იზიარებს ქ-ნ მარინა ჭავჭანიძის მწუხარებას ბიძაშვილის ხალისიანი, იმედიანი, ნიჭიერი, ულამაზესი

მაკა ამანაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.



ლია, გულთამზე, აჩი ქავზინაძეები, მაია, აკაკი, პეტო რუხაძეები იუწყებიან

დიტო ბახტაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ დამწუხრებულ მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და ყველა ჭირისუფალს.



მარინა, აკაკი, ვეფხია რუხაძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძის კეთილშობილი, მშვიდი, გაწონასწორებული, ყველასათვის ძვირფასი პიროვნების

ჯემალ ფრანგიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალთ.

გაზეთ „ხონის" რედაქცია თანაუგრძნობს აკაკი რუხაძესა და მაია ფეიქრიშვილს ბიძის

ჯემალ ფრანგიშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი მაია ფეიქრიშვილი ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია ნუნუ ფანცულაია (პასუხისმგებელი მდივანი) ლია ჩიხლაძე (კორესპონდენტი)

ა(ა)ი სსაინფორმაციო ცენტრი „ხონი" დირექტორი ქეთევან ბახტაძე რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ს/კ 444957913 ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი: პოლიკარპე კაკაბაძის ქ. №15, საკრებულოს შენობა. II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხომლი 96"-ში დიზაინერი თეა კაკაბაძე ოპერატორი სალომე ალექსი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ ფასი 50 თეთრი